ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი ადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,თსუ“) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და წესსა და პროცედურას.
2. არაფორმალურ პროფესიულ განათლებად მიიჩნევა – განათლება, რომელიც პირმა მიიღო არაფორმალურ გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად.
3. არაფორმალური განათლებს აღიარება მიმართულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ და ემყარება ნებაყოფლობითობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული წესისა და ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
3. პროფესიული განათლების III საფეხურის არაფორმალური განათლების აღიარების დამატებითი აუცილებელი პირობაა პირის მიერ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დადასტურება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის საფუძველზე.
4. რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 3. უფლებამოსილი ორგანო

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ვადებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით თსუ-ში რექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ს რექტორი, არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5. კომისიაში უნდა შედიოდეს: თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები, დამსაქმებელთა წარმომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით მითითებულ თსუ-ს რექტორის ბრძანებაში ასევე განსაზღვრული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის, მისი განხილვის, შესაბამისი გამოცდების ჩატარების, გადაწყვეტილების მიღების და ჩარიცხვის ვადები.

მუხლი 4. წარსადგენი დოკუმენტები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა თსუ-ს უნდა წარუდგინოს:
   ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობლის (მეურვის, წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ (დანართი1);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, თსუ-ს უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია:

ა) ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება;

ბ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა (არსებობის შემთხვევაში);

გ) გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2. კომისია ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.
3. გამოცდაზე განმცხადებელი პრაქტიკულად ასრულებს ერთ ან რამდენიმე საკონტროლო სამუშაოს, რომელიც შეესაბამება იმ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლის აღიარება ხდება. გამოცდის შედეგებზე შედგება კომისიის ოქმი (დანართი 2).
4. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, თსუ იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
5. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება

განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

6. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესაბამისად გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
7. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ აღემატება 1 თვეს, საიდანაც 10 (ათი) კალენდარული დღე ეთმობა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ხოლო 20 (ოცი) დღე დაინტერესებული პირის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების თითოეული კომპონენტის დადგენას, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებას.
8. გადაწყვეტილებას ხელს აწერს თსუ-ს რექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 6. არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის თითოეული კომპონენტის შეფასების წესი

1. არაფორმალურ გარემოში პირის მიერ მიღებული ცოდნის ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
2. თითოეული კომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. არაფორმალური პროგრამის კომპონენტი აღიარებულად ჩაითვლება შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.
4. „FX“ შეფასების მიღების შემთხვევაში არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება პირველი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის გასვლის შემდეგ,
5. „F“ შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.

მუხლი 7. პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თავისებურებები

1. პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური განათლების აღიარება იმ პროფესიის ფარგლებში, რომლის ათვისება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტით დასადგენი ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე და რომლის ათვისებისათვის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს დამატებით სპეციალური კომპეტენციების ფლობას, შესაძლებელია მხოლოდ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული უნარების ტესტისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და თსუ-ს მიერ სპეციალური კომპეტენციების შემოწმების შედეგად, მე-4-მე-5 მუხლებით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში დამატებით მიეთითება ინფორმაცია მხოლოდ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული უნარების ტესტისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შესახებ.

დანართი 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას

მოქალაქე: _____

სახელი, გვარი

მისამართი: _____

_____

ტელ.: _____

პირადი ნომერი _____

განცხადება

ბატონო ვლადიმერ,

გთხოვთ, განიხილოთ ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიღიაროთ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლება – პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების ფლობა.

_____

პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის _____ საფეხურზე;
ვადასტურებ, რომ გავეცანი პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს.
პატივისცემით,
განმცხადებელი (თუ არასრულწლოვანია, მისი წარმომადგენელი)

_____

სახელი, გვარი

_____

თარიღი

განცხადებას თან ერთვის:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედნის წარმოდგენით);
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და თანდართული ნიშნების ფურცლის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი და დედანი;
4. ორი ფოტოსურათი (3x4სმ) და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე (CD).

5. პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები.

ხელმოწერა:

თარიღი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის
ოქმი №

თარიღი:

ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრები, დამტკიცებული ---------- № ----- ბრძანებით:

1. _____ 4 . _____
2. _____ 5. _____
3. _____ 6. _____

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს ----------
(სახელი,მამის სახელი, გვარი)

პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი
დოკუმენტისა ---------- ---------- და
(დოკუმენტის დასახელება)
გამოცდის შედეგის ---------- საფუძველზე კომისიის გადაწყვეტილებით
(სიტყვიერად)
ეღიარა/არ ეღიარა მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლება ---------- ---------- ---------- საგანმანათლებლო პროგრამის ---------- საფეხურზე;
კომისიის თავმჯდომარე:
(ხელის მოწერა)
კომისიის წევრები:
(ხელის მოწერა)

1. 4.
2. 5.
3. 6.